№ 98 მაისი 12, სამშაბათი 1892 მაისი 12, სამშაბათი № 98

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ...მი, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ...რდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახ...ერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა...ანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ამ ნომერში ათი გვერდია

---

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ დანიშნული

## ლატარია-ალეგრი,

რომელიც კვირას, 10 მაისს, უნდა ყოფილიყო,

**გადაიდო 17 მაისისათვის.**

---

18 მაისს, ორშაბათს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

ი ქ ნ ე ბ ა

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიშის განხილვა.

2) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.

3) საზოგადოების წევრთა არჩევანი. (6—2)

---

„საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობის" კანტორა აუწყებს თავის წევრთა, რომ 17 მაისს, დილის 11 საათზედ, დანიშნულია საზოგადო კრება „ამხანაგობისა" სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში კანტორის მოქმედებისა.

2) ამხანაგობის ახალ წევრთა არჩევანი.

3) მორიგ საქმეთა განხილვა. (3—3)

---

**† თავადი იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილი**

კიდევ ერთი უბედურება! ულმობელმა სიკვდილმა კიდევ მოგვტაცა ერთი წარჩინებული ქართველი. პარასკევს, 8 მაისს, გარდაიცვალა ფილტვების ანთებით ტფილისში ყველას მიერ კარგად ცნობილი, დიდად პატივცემული თავადი იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილი, ტაინი სოვეტნიკი და ყოფილი თავმჯდომარე ტფილისის სასამართლო პალატის მეორე დეპარტამენტისა.

განსვენებული დაიბადა 1813, თუ 1814 წელს,—კარგად არ არის ცნობაში მოყვანილი,—სიღნაღის მაზრის სოფელს ფხოველში.

ქართული წიგნი, ქართული წერა-კითხვა რა დაასრულებინა, მამამ მისმა თ. ადამმა თავისი სამი ვაჟი შვილი მისცა მაშინ ახლად დაარსესულს გიმნაზიაში. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსობა ახლად შემოდიოდა საქართველოში, როდესაც ძველებური რიგ-წყობილება იშლებ-ილეწებოდა და ახალი არსდებოდა. ფრიად საძნელო უნდა ყოფილიყო ჩვენ მამა-პაპათათვის ამ დროს ატანა. ახალს წესებს ახალი სკოლებიც მოჰყვა. მაგრამ გავიხსენოთ, რა იყო მაშინდელი სკოლა რუსეთში და რა უნდა ყოფილიყო ჩვენში! სკოლა, რომელშიაც უმთავრესს პედაგოგებად „როზგი" და „ლინეიკა" იყო აღიარებული, ვერ აყვარებდა ბავშვებს სწავლას და ვიცით კიდეც, რომ ქართველები ასობით შედიოდენ სასწავლებლად და ასობითვე გამოდიოდნენ, ზოგი პირველის კლასიდგანვე, ზოგი მეორიდგან. ასე მოიქცნენ თ. იასე ძმებიც: მალე დასტოვეს გიმნაზია. მხოლოდ იშვიათის ხასიათის პატრონებმა შეუძლეს მაშინდელს სკოლას და დაწყებული სწავლა ბოლომდის დაათავეს. ასეთნი იყვნენ ჩვენი პოეტნი: ნიკოლოოზ ბარათაშვილი და გრიგოლ ორბელიანი. ასეთისავე ნიჭით დაჯილდოვებულნი იყვნენ და ბოლო გაატანეს დიმიტრი ყიფიანმა, თ. დიმიტ. ჯორჯაძემ და სხვ. ამ წარჩინებულთა ამხანაგი იყო თ. იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილი და ამანაც მათებრივ სახელოვანად განვლო გზა ცხოვრებისა.

1837 წელს თავადი იასე შედის სამსახურში (Опредѣленъ на службу Верховнаго Грузинскаго Правительства въ исполнительную экспедицію съ откомандированіемъ для занятія въ канцеляріи Грузинскаго Гражданскаго Губернатора). ანებებს თავს თამსახურს მხოლოდ 21 თებერვალს 1890 წელს. ნახევარ საუკუნოზედ მეტი დაჰყო სამსახურში და გამოვიდა პირ-ნათლად. მთავრობის თვალშიაც და საზოგადოებისაშიაც თ. იასე იყო სპეტაკი, უჩირქო და უჭუჭყო მოღვაწე. ასეთის თვისების მოღვაწე ორმოციან და სამოციან წლებამდის სამაგალითო, თითით საჩვენებელი იყო. ესევე გარემოება იყო უმთავრესი საბუთი იმისიც, რომ თ. იასეს დიდს პატივს სცემდა მთავრობაცა და საზოგადოებაც.

სამსახური მისი მრავალ-გვარი იყო. სად არ იმსახურა? ჩვენ ვხედავთ თ. იასეს მაზრის უფროსად თელავში 1842 წელს, მაზრის უფროსადვე სიღნაღში 1845 წ., მომრიგებელ მოსამართლედ განჯაში 1846 წ., მომრიგებელ მოსამართლედ გორში 1847 წ., ტფილისის „Коммерческій Судъ"-ში 1854 წ. ორმოცი წელი იმსახურა მარტო სამოსამართლო ნაწილში. იმსახურა და არც ერთხელ სასწორი სამართლისა მის ხელში არ გამრუდებულა! განა ეს არ კმარა, რომ ასეთი კაცი შესამჩნევ კაცად ჩაითვალოს?

1887 წელს დიდის ამბით იდღესასწაულა ტფილისის სასამართლო პალატამ 50 წლის იუბილეი თ. იასეს ნამსახურობისა. აქ, სხვათა შორის, აი რა სიტყვებით მიჰმართა ბ-ნმა სოკოლოვმა, პალატის წევრმა, იუბილიარს: „ბედნიერნი ვართ, რომ ვდღესასწაულობთ 50 წლის ნამსახურობას იმ კაცისას, რომელმაც, როგორც ჭეშმარიტმა მსახურმა სიმართლისა და კანონისამ, განვლო გძელი გზა ცხოვრებისა ისე, რომ არც ერთხელ არ გადუხვევია სიმართლეს, არც ერთხელ არ გაამრუდა ჭეშმარიტების სასწორი, რასაც იქნება, ხშირად თხოულობდა მისგან გარემოება და ადგილი".

ერთს უმთავრესს ხანად თ. ანდრონიკაშვილის ნამსახურობაში უნდა ჩაითვალოს დრო, როდესაც თ. იასე დანიშნეს, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის განკარგულებით, წევრად „Коммисіи по составленію положенія о примѣненіи Судебныхъ Уставовъ 20 Ноября 1864 г. къ Закавказскому краю" და მერმე წევრად მეორე კომისიისა „По введенію въ дѣйствіе судебнаго преобразованія". აქ არ გავაგძელებთ სიტყვას იმის შესახებ, თუ რა წყვდიადით იყო მოცული ძველი, რეფორმების უწინარესი, სასამართლო და სამართალი. რუსეთი შეაწუხა ძველმა სამართალმა. 1864 წლის რეფორმამ სულ ახალი ხანა ჩამოაგდო სასამართლოს ისტორიაში; მან მოჰფინა სხივი, შეიტანა ნათელი ჭეშმარიტი ძველს სამართალში. საჭირო იყო, რომ ეს ახალი სასამართლოები ჩვენშიაც შამოეღოთ, ჩვენც დავხწეოდით დიამბეგების სამართალს; მაგრამ, განა ეს ადვილი საქმე იყო? არიან და იყვნენ მაშინაც წინააღმდეგნი ჯერ საზოგადოდ ახალის სასამართლოებისა და მეორე კერძოდ მათის შემოღებისა ჩვენში, როგორადაც არიან წინააღმდეგნი ჩვენში ერობის შემოტანისა, თუმცა შიდა რუსეთში არსებობს დიდი ხანია და დიდად სანატრელ დაწესებულებადაც არის აღიარებული. დიდი უბედურობა იქნებოდა, რომ ჩვენ აგვცდენოდა ახალი სამართალი. საჭირო იყო კაცი, რომელსაც ებრძოლნა, ეშრომნა ამ საქმისათვის, დაერწმუნებინა ქვეყანა, რომ ჩვენ ძალიანაც ვსაჭიროებთ განახლებულს სასამართლოს. აი ასეთ კაცად აღმოჩნდა განსვენებული თ. იასე ადამის ძე. სახელმწიფო საბჭოს წევრი ბ-ნი სტარიცკი ამბობს: „მისმა (იასე ადამის ძის ანდრონიკაშვილისამ) ძვირფასმა ცოდნამ ადგილობრივის გარემოებისამ გაუწია დაუფასებელი სამსახური ახალის სასამართლოების მოწყობის საქმეს კავკასიაში. ამასთან ის მუდამ ჟამს ჭეშმარიტი და მედგარი მომხრე იყო სიმართლისა".

გაჩნდა ახალი სასამართლოები და იქნება თ. იასე, როგორც ძველი კაცი, აღარ შეეფერებოდა ახალის მოსამართლის იდეალს? არა, განსვენებული მოხუცი აქაც პირველობდა. „Съ введеніемъ реформы сразу воцарился прямо противоположный принципъ. Вы оказались на высотѣ не легкой задачи. Вы сдѣлались судьей, подходящимъ къ идеалу судьи уст. 64 г."— სწერს ნაფიცი ვექილი ჩემესოვი. მოსამართლობა, საზოგადოდ, ერთი უძნელესი თანამდებობაა. მოსამართლეს პირდაპირ ცხოვრებასთან, ხალხთან აქვს საქმე, მუდამ დღე, ასე თუ ისე, ეხება მისს წყლულს, ერთს ამართლებს, მეორეს ამტყუვნებს, ერთს ციმბირში ჰგზავნის, მესამეს საპატიმროდამ ანთავისუფლებს. რა ნაირად მოუგებს კაცი ყველას გულს? რა ნაირად ახერხებდა ამ საქმეს განსვენებული? ამისათვის საჭიროაო, უთხრა ქალაქის თავმა მატინოვმა იუბილეიზედ, კაცს დიდს ჭკუასთან დიდი და სათნოებით და სიყვარულით აღსავსე გულიც ჰქონდესო, საჭიროა პატიოსანი, მიუდგომელი, კაცთ-მოყვარული მოპყრობა საქმისა.

მართლაც და ამ მხრივ შესანიშნავი კაცი იყო განსვენებული. მარტო ერთი წყნარი, მამობრივი, მშვიდი და თანამგრძნობი შეხედვა მისი დაამშვიდებდა თვით გამმაგებულს ლომს. კაცს ხომ ჰხიბლავდა მისი ქცევა და სიტყვა-პასუხი, მის წინ ძნელად მოახერხებდი სიმართლის და-

---

# ფელეტონი

**მეფე სვიმონ I**

1557—1600

I

მას აქედ, რაც საქართველო განაწილდა სამს სამეფოდ და ხუთს სამთავროდ, ეს ქვეყანა სადაო ლუკმად შეიქნა ოსმალეთსა და სპარსეთს შუა. 1556 წ.[1]) ამ ორთა სახელმწიფოთ, ხანგრძლივის დავის შემდეგ, შეკრეს ზავი, რომლის ძალითაც საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი—ქართლი, კახეთი და სამცხე დაიჩემა სპარსეთმა, დასავლეთი ნაწილი—იმერეთი, გურია, ოდიში და აბხაზეთი—ოსმალეთმა.

მაშინ ქართლში მეფობდა ლუარსაბ I, კახეთში ლევან I, იმერეთში გიორგი II, სამცხეში მთავრობდა ყვარყვარე ათაბაგი, ოდიში—ლევან დადიანი, გურიაში—როსტომ გურიელი. ამისთანა დროს, როდესაც მტრებმა ჩვენი ქვეყანა გაინაწილეს, ჩვენი მეფენი და მთავრები ერთმანეთში უთანხმოდ ცხოვრობდნენ. ლევან მეფეს და ყვარყვარე ათაბაგს წინადვე ჰქონდათ სპარსეთისთვის გამოცხადებული ერთგულება. მეფე გიორგი, ლევან დადიანი და როსტომ გურიელი ოსმალებს ერთგულად აჩვენებდნენ თავს. მხოლოდ ლუარსაბ მეფე არ ნდომულობდა არც სპარსების, არც ოსმალების ბატონობას, თუმცა ტფილისიც-კი ეჭირათ სპარსებს 1548 წლიდგან. სპარსეთის ყაენს მარტო ლუარსაბის დამორჩილება-ღა უნდოდა, რომ აღმოსავლეთი საქართველო სრულიად მისი კუთვნილი ყოფილიყო. ამიტომაც ოსმალებთან ზავის შეკვრის შემდეგ ყაენი შაჰ-თამაზი წამოვიდა დიდძალის ჯარით ქართლის დასაპყრობად.

ლუარსაბმა და დიდებულებმა პირდაპირ მტრის დახვედრას გახიზვნა და ციხე-სიმაგრეებში გამაგრება ამჯობინეს. ყაენმა სამცხითგან ჩავლო თრიალეთი, მივიდა საბარათიანოს და მიადგა ბირთვისის ციხეს. მეციხოვნები ძალიან გამაგრდნენ. ყაენი იძულებული შეიქნა, ცბიერება ეხმარა ამ ციხის ასაღებად: მეციხოვნეებს დაჰპირდა უვნებელობას დ საჩუქრებს, თუ დანებდებოდნენ. გაჭირვებულმა მეციხოვნეებმა დაიჯერეს ყაენის სიტყვა და დანებდნენ, მაგრამ შაჰ-თამაზმა გატეხა თავისი პირი და მათგან ზოგი გასწყვიტა, ზოგიც დაატყვევა. ბირთვისითგან ყეენი წამოვიდა გორისაკენ, რომელიც ტფილისის სპარსთაგან დაჭერის შემდეგ მეფის სამყოფი გახდა. ლუარსაბს სახლობა აქეთ-იქით ჰყავდა მიმალული, თითონ-კი ხან აჩაბეთის ციხეში იყო, ხან იმერეთში. ყაენმა აიღო გორი და მახლობელი ციხეები: წედისისა, ვერისა და ატენისა. ამის შემდეგ ყაენი გაბრუნდა უკან და წაასხა თან 30,000 ტყვე), რომელთა შორის იყვნენ ლუარსაბის დედა და და. ლუარსაბ მეფე დაედევნა გაბრუნებულს სპარსებს და ბევრი ზარალი მისცა დახოცვით და ალაფის წართმევით. სპარსელებმა მოასწრეს ქართლითგან გასვლა და მეფემ ვერ მოახერხა დედისა და დის განთავისუფლება. სპარსეთში მიმავალმა შაჰ-თამაზმა განჯაში ბეგლარბეგად დატოვა შაჰ-ვერდიზიად-ოღლი, რომელსაც მიანდო ქართლის ციხეების დაცვა და ლუარსაბზე თვალ-ყურის დაჭერა.

ყაენის წასვლის შემდეგ ლუარსაბი შეუდგა ქართლიდგან სპარსების გაძევებას. დაიჭირა ყველა ადგილები ტფილისისა და გორის ციხეების გარდა. ამის დამნახავმა განჯის ბეგლარბეგმა შეკრიბა ჯარი და წამოვიდა ქართლში ლუარსაბის წინააღმდეგ (1557 წ.). სპარსების დასახვედრად ლუარსაბი გორიდგან წავიდა სომხეთში და დაიბანაკა ვარხუნაში. იმ ღამეს სიზმარი ნახა და იმის გამო მეორე დღეს, დილას, მოიხმო კათალიკოზი, ნიკოლოზ ბარათაშვილი,

---

[1]) ისკანდერ მუნშჲი ამ წლის მაგიერ უჩვენებს 1653 წ. (იხ. *Histoire de la Georgie t II, l I p. 450*.

მალვას. კაცს ეგონებოდა, რომ ისემ იცის ჩემი დაფარული აზრი, ჩახედებულია ჩემს გულშიო და რა ნაირადლა გავბედო ტყუილის თქმაო. ასეთმა ძვირფასმა თვისებამ თ. იასესამ ბევრი, ძალიან ბევრი ისეთი საქმე დააბოლოვა და გაათავა მორიგებით, სადაც უიმისოდ თოფი და ხმალი დატრიალდებოდა.

ნდობა, პატივისცემა და სიყვარული განსვენებულისა ისეთი დიდი იყო, რომ ხშირად ორი მოპირდაპირე მიიწვევდა თავიანთ მოსარიგებლად: ორივეს ყაბული გვაქვს, რასაც თქვენ გადაგვიწყვეტავო ჩვენს სადავო საქმეშიო. და მართლაც, ეს საკვირველი კაცი ისე გაუთავებდა საქმეს, რომ მოსისხლე მტრებს გაამეგობრებდა და დააწყნარებდა.

როგორი კაცი იყო თ. იასე თავის ხელქვეითის პოხელეებისთვის? თუმცა მკითხველი მიხვედრილია, რა მამობრივი დამოკიდებულობა უნდა ჰქონოდა მათთანაც კაცს, რომლის „доброта, доведенная до самоотверженія“ (სიტყვა სიღნაღის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლისა) არავისთვის დაფარული არ იყო; მაგრამ სიტყვა დავუთმოთ ერთს მისს ხელქვეითთაგანს. როდესაც თ. იასემ სამსახურს თავი დაანება და მაშასადამე საბუთიც აღარა ჰქონდათ მცირე მოხელეთ პირმოთნეობით ლაპარაკისა, აი რა სიტყვებით მიჰმართა ერთმა მოხელეთაგანმა: „Скажу болѣе: Вы, князь, какъ истинный христіанинъ нерѣдко оказывали матеріальную помощь неимущимъ изъ насъ Вашими средствами. Сердце наше преисполнено къ Вамъ любовью, глубокимъ уваженіемъ и благодарностью!“ ისეთს მძიმე უღელში შებმული კაცი, როგორც მოსამართლის შრომაა, მერე იმდენის ხნის ნამსახური, სხვა უიმისო ველარ იპოვნიდა დროს, სხვა საქმეებისთვისაც მოეკიდა ხელი. მაგრამ დაუღალავი მუშაკი ამასაც ახერხებდა. დიდხანს იყო განსვენებული თავმჯდომარედ ჩვენის ბანკის ზედამხედველის კომიტეტისა და აქაც არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის.

ქართულს მწერლობაში თუმცა მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ ძლიერ თავგამოდებით უყვარდა-კი. არ გამოვიდოდა ახალი წიგნი, ან გაზეთ-ჟურნალი, რომ მაშინვე განსვენებულს არ შეეძინა. ძლიერ მუყაითი მკითხველი იყო ქართულის გაზეთისა და მის სიხარულს ბოლო არა ჰქონდა, როდესაც რაიმე კარგს ნაწერს შეჰხვდებოდა ახალგაზდა მწერლისას. „ჰო, მივდივართ, მივალთ ნელნელა წინაო“, იტყოდა ხოლმე. სრული ბიბლიოთეკა ჰქონდა დაბეჭდილის ქართულის წიგნებისა; ჰქონდა აგრეთვე მრავალი ხელნაწერი წიგნებიც, რომელიც „წერა-კითხვის საზოგადოების“ ბიბლიოთეკას შესწირა.

მიუხედავად თავისის ნამსახურობისა და მაღალის ხარისხისა, განსვენებული ერთობ თავ-მდაბალი და უბრალო კაცი იყო. ეს თვისება უკანასკნელ წამამდის შეჰყვა და სიკვდილის წინ ანდერძად დასტოვა: თუ ჩემი პატივისცემა ვისმე გაქვო, უბრალოდ, ძალიან უბრალოდ და სადათ დამასაფლავეთო. არც მუზიკა, არც ხელით წაღება სასაფლაომდის, არა ვითარი ის არ მინდა, რაც გამარჩევდეს მე უბრალო სიკვდილის შვილისაგანაო. ერთი მღვდელი და ერთი დიაკვანი მომიწვიეთო.

გავრცელდა რა ხმა თავადის იასეს გარდაცვალებისა, იწყო აუარებელმა ხალხმა დენა მიცვალებულის სადგურისკენ, სოლოლაკის ქუჩაზედ, რათა უკანასკნელად გამოსალმებოდნენ დაუვიწყარ და ძვირფასს თავადს და ეთქვათ: საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, სამაგალითო კაცთ-მოყვარებით და სიყვარულით ალსავსე მუშაკო. დიდი დანაკლისია ჩვენთვის შენი გარდაცვალება.

ჩვენც მიუსამძიმროთ ახლად გარდაცვალებულს: მშვიდობით, ძვირფასო იასე, მშვიდობით! სათნოებით ალვსებული შენი კეთილი სული უკვდავია და ჩვენს შორის არის და იქნება მარადის. შენ იყავ ჩვენთვის ცხოველი მაგალითი, საუკეთესო მასწავლებელი, თავგამოდებულის, პატიოსნებით ალსავსე და დაუცხრომელის მუშაკობისა!

მრავალი დეპეშა მოვიდა სამძიმრისა და მრავალმა გვირგვინმა შეამკო კუბო განსვენებულისა. უფრო შესამჩნევია მათ შორის შემდეგი დეპეშები და გვირგვინები:

სერგეი და ელისაბედ გონჩაროვებისაგან:

„შევავედრებთ უფალს სულს განსვენებულის თავადის იასესას. ვსწუხვართ, რომ დაგვშორდა სამუდამოდ“.

სახელმწიფო საბჭოს წევრის ბ-ნ სტარიცკისა:

„სრულის სასოებით მივეცემი ლოცვას მოსახსენებლად დაუვიწყარის თავადის იასეს სულისას. ხსენება და კურთხევა შენდა, დაუვიწყარო, კეთილშობილო კაცო, დიდად პატივცემულო მოსამართლევ და საყვარელო ძმაო და ამხანაგო“.

კნ. ნინო ანდრონიკაშვილისაგან:

„დიდად ვსწუხვარ და ვგოდებ ძვირფასის ბიძის დაკარგვას.“

თელავის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლისაგან:

„თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ, სცა-რა პატივი განსვენებულს თ. იასე ადამის ძეს ფეხზედ წამოდგომით, მომანდო გამოვუცხადო გულითადი მწუხარება მემკვიდრეთ.“

თ. ნიკოლოოზ ჭავჭავაძისაგან:

„კიდევ დავკარგეთ ერთი საუკეთესო მეგობარი! მიდამო მოღვაწეთა თანდათან ცალიერდება. განუსაზღვრელს მწუხარებას მიმცა იმისთანა შეუდარებელ კაცის გარდაცვალებამ, როგორიც იყო დაუვიწყარი თავადი იასე. დიდად ვსწუხვარ, რომ არ შემიძლიან თვით დავესწრა დასაფლავებას“.

„იყო დეპეშ თელავის მაზრის თავად-აზნაურობისაგანაც.

გვირგვინი სიღნაღის მაზრის კეთილშობილთაგან ზედ წარწერით:

„პირფერობითა შენ თუმცა
გული არავის მოუგე,
გარნა არც სიმართლის ნაცვლად
ბორკტი ვისმე მიუგე.“

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან:

„ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარედ ნამყოფს“.

სამოსამართლო უწყების ამხანაგთა და მოხელეთაგან:

„დაუვიწყარსა და ღირსეულს იასე ადამის ძეს».

ს. და ე. გონჩაროვებისაგან:

„ჩვენს ძვირფასს მეგობარს თავადს იასე ადამის ძეს ანდრონიკაშვილს“.

„იასე ადამის ძის გულ-წრფელ პატივისმცემელთაგან ივანე სულხანის ძისა და დარია რომანოზის ასულის ჭავჭავაძეთაგან“.

ტფილისის კლუბისაგან:

„მეგობარს სიმართლისას თ. იასე ადამის ძეს“.

თავად ანდრონიკაშვილებისაგან:

„დაუვიწყარს მოძღვარს, მეგობარსა და მამას“.

თ. კ. ი. მუხრანსკისაგან:

„მეგობარსა და ამხანაგს“.

საქართველოს თავად-აზნაურობა:

„თვისს ღირსეულს წევრს“. 11 მაისს 1892 წ.

საყვარელს ბიძას:

«უშენობითა დავობლდით,
გულს ცეცხლი მარად გვდება,
შენებრივ ბიძა იასე
გვიანღა დაგვებადება“!

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“:

„დამფუძნებელ წევრს, თ. იასე ადამის ძეს ანდრონიკაშვილს“.

„ოლგა და ილია ჭავჭავაძეთაგან“.

თ. რ. დ. მელიქოვისაგან:

„დაუვიწყარს თავადს იასე ადამის ძეს ანდრონიკაშვილს“.

მიცვალებულის დასაფლავებას დაესწრნენ სხვათა შორის: ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შარვაშიძე, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ლ. მაღალაშვილი, გენერალი კ. ქ. მამაცაშვილი, გენერალი მ. ამირეჯიბი, გენერალი ნ. ამილახვარი, ბეკლემიშევი, აქციზის სამმართველოს უფროსი მარკოვი, ქალაქის თავი თ. არღუთინსკი, თავმჯდომარე პალატისა ნ. ჭავჭავაძე, პროკურორი პალატისა ბ-ნი სმიტენი, მთლად პალატის მოხელენი და ბევრი სხვანი... მიცვალებულს ქაშვეთის ეკკლესიაში წირვა მოასმენინეს და დაასაფლავეს ვერის სასაფლაოზედ თანხმად ანდერძისა. დასაფლავების დროს სიღნაღის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლმა თ. ივ. რ. ანდრონიკაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა ღირსებანი ახლად გარდაცვალებულისა.

მ. ნ—ძე

## ახალი ამბავი

*** „წერა-კითხვის საზოგადოებას“ კიდევ შემოსწირეს სალატარიოდ:

ოლგა დიმიტრის ასულმა ბაქრაძისამ—ორი ალის ფერი, ხელოვნებით ნაკერი ბალიში;

სვიმონ დავითის ძემ თავ. ანდრონიკაშვილმა—ათი ბოთლი ღვინო;

ეფემია მიხეილის ასულმა ჩომახოვისამ—ჯიბის ფარანი და გრაფინკა;

ი. ა. შათიროვმა—ზღვის დურბინდი.

*** კვირას, 10 მაისს, მუშტაიდის მახლობელ საზაფხულო თეატრში, რომელსაც „ჩანგი“ ეწოდება, ქართულმა არტისტებმა წარმოდგენა გამართეს ბ-ნ ნებიერიძის მეთაურობით. წარმოადგინეს 3 მოქმ. კომედია აკ. წერეთლისა „კინტო“. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. კარგად შეასრულეს თავისი როლები: ქ-მა მძინაროვისამ და ბ-მა ადამიძემ. არა უჭირდა-რა აგრეთვე ბ-ნს მაჭავარიანსაც—იმერლის როლში. წარმოდგენის გათავებამდე თეატრში დამსწრე ხალხს 3 ვაგონი ელოდდა ცხენის რკინის გზისა.

*** ბედისაგან დაჩაგრული ჰაერში მოგზაური გოდრონი გუშინ-წინ, 10 მაისს, ხელმეორედ უნდა აფრენილიყო იუნკრების სასწავლებლის მოედნიდგან. დილიდგანვე დაემზადა ასაფრენად, ჰაეროსტატი გაავსო წყალმბადით და შესცქეროდა ცასა: გამოიდარებს, თუ არაო; მაგრამ, ეტყობა, რომ გოდრონი რაღაც უიღბლო კაცი ყოფილა; მთელს დღეს ხან ქარი უბერავდა და ხან სწვიმდა. ნაშუადღევის საათის ხუთზედ ცოტათი გამოიდარა. გოდრონი მაშინვე მოემზადა ასაფრენად, მაგრამ დედა მიწას ასცილდა თუ არა, ისევ წამოდგა ქარი და საბრალო გოდრონი თავის ჰაეროსტატით პარაშუტიანად სამხრეთისკენ გამოაქანა. გოდრონი მაღლა ველარ ავიდა და დაეშვა დედამიწაზედ ვერის ხიდის მახლობელს ერთს ბაღში.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველს კასსას 1890 წლის 1 ოქტომბრიდგან 1892 წლის 1 მაისამდე 113,195 მან. და 89 კაპ. მიუღია შესანახად. 1892 წლის აპრილში ამ კასსას მიუღია შესანახად 7,470 მანათით მეტი, ვიდრე შარშან აპრილში. ეს გარემოება მით აიხსნება, რომ ხალხს წინად ეგონა, ვითომ ფოსტა-ტელეგრაფის კასსა მხოლოდ ფოსტის მოხელეთათვის არის დაარსებულიო. ეხლა-კი ხალხმა გიიგო, რომ ამ კასსაში ყველას შეუძლიან ფულის შენახვა, სწორედ ისე, როგორც სახელმწიფო ბანკის კასსაში.

*** სომხთა გარდაცვალებულმა კათალიკოზმა მაკარიმ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ გამორკვეულ იქმნას, მინიჭებული აქვთ თუ არა სამხედრო ბეგარს შეღავალი სომხთა საეკკლესიო სკოლების მოწაფეთა და მასწავლებლებს. შინაგან საქმეთა და საერო განათლების მინისტრებმა ეს საქმე განიხილეს და გადასწყვიტეს: რადგანაც სომხთა საეკკლესიო სკოლებისათვის არც სწავლის პროგრა-

---

თავის შვილები: სვიმონ, დავით და ვახტანგ და ყველა თავადები. ამ შეკრებილებაში მეფემ სთქვა: „სიზმარი ვნახე მართალი და ჭეშმარიტად დასაჯერი, რომ უსაცილოდ ჩვენ გავიმარჯვებთ და ყიზილბაშნი გაიქცევიან; ამ ომში მე მომკლავენ და ჩემს მკვლელსაც ქართველები მოჰკლავენო“. მერე სვიმონს მოჰკიდა ხელი და სთქვა: „ხელმწიფობა ამისთვის მიმიცემია და კიდეც ღირსია“. დანარჩენს ორს შვილს მიუბრუნდა და უთხრა: „თქვენც უფროსს ძმას დაემორჩილენით“. ყველანი მივიდნენ სვიმონთან და ხელზე აკოცეს; კათალიკოზმა აკურთხა. ლუარსაბმა ურჩია ქართველებს, რომ მის სიკვდილით არ მოშლილიყვნენ და სპარსების გალახვის შემდეგ მცხეთას მიესვენებინათ მისი გვამი და დაემარხათ. ამის გაგონებაზედ ყველანი ატირდნენ და მოახსენეს მეფეს: „რადგან მაგისთანა სიზმარი გინახავს, ამ გზობით მტერს ნუ შევებმით და უკუვეცალნოთო“. ეს სიტყვა, მატიანის თქმით, მეფემ შორს დაიჭირა და ასე უპასუხა: „დღეს-აქნობამდის ხონთქარსა და ყაენს ზურგი არ შევაქციე, რით იქნების, რომ ახლა ერთს ყაჯარს*) პირი დავარიდოო“.

შაჰ-ვერდი ზიად-ოღლი რომ ქართველებს მიუახლოვდა, ლუარსაბმა ჯარს სვიმონი უთავა. სვიმონი გაუძღვა ჯარს სპარსების წინააღმდეგ, ლუარსაბ-კი, რომელსაც თან ახლდნენ კათალიკოზი, ეპისკოპოზები და რამდენიმე მოხუცებული თავადი, უკან დადგა. სვიმონმა თავის ჯარის ერთი ნაწილი დამალა საფარში, ხოლო დანარჩენით შეებრძოლა სპარსელებს. ბრძოლა რომ გაცხარდა, ქართველებმა დაიხიეს უკან, ვითომ შეშინებულებმა, გულმოცემული სპარსები დაედევნენ ქართველებს. დევნის დროს სპარსელები ერთს ალაგს უცებ შეჩერდნენ, რადგან მოულოდნელად დაეცა ჩასაფრებული ქართველი ჯარი[2]). ახლა სპარსელებმა იბრუნეს პირი, უწესოდ გაიფანტნენ და აქეთ-იქით გაიქცნენ. სვიმონი დაედევნა შაჰვერდის დ სრულიად ამოუწყვიტა ჯარი[3]). თვით შაჰვერდიმ გაქცევა მოასწრო. სვიმონი რომ მტერს სდევნიდა, სპარსელების ერთი ნაწილი მაჰმად-სულთანის წინამძღოლობით შეიმალა ტყეში და სცდილობდა შეუნიშნავად გაპარვას. ტყეში სიარულის დროს მაჰმად-სულთანმა შენიშნა ერთს მაღლობს ადგილზე[4]) ლუარსაბ მეფე მცირეოდენის მისის მხლებლებით, რომელთაც შეადგენდნენ ეპისკოპოზები და მოხუცებული ერის კაცნი. მაჰმად-სულთანმა მოინდომა, ესარგებლა ამ შეხვედრით დ, მეფის მხლებლების სიცოტავით წაქეზებულმა, შეუტია მტერს. მეფე და მასთან მყოფნი მამაცურად დაუხვდნენ სპარსებს. თავგამომეტებით მებრძოლმა ქართველებმა დაამარცხეს ბევრად მომეტებული სპარსები და გააქციეს. ლუარსაბს ბრძოლაში დაემტვრა ყველა იარაღი, ამის მიუხედავად გაქცეულს მაჰმად-სულთანს უკან გამოედევნა, დააძგერა თავისს ცხენი მისს ცხენს და ცხენიანად ძირს დასცა. მას შემდეგ სხვებს გამოედევნა და ცხენის ძგერებით იბრძოდა. ამ დევნაში ლუარსაბს აკი უკანასკნელი იარაღიც წაუხდა! მის ცხენს ფეხი მიწის ნასკდომში ჩაუვარდა და მეფე ცხენიანად წაიქცა. ამის დამნახავი ერთი სპარსი, სახელად ზაქირი, მივარდა მეფეს და მახვილი დასცა. ლუარსაბს მიეშველნენ მხლებლები, გამოედევნენ ზაქირს და მოჰკლეს ისიც და ბევრი სხვებიც[5]). სვიმონმა მამის დაჭრა რომ გაიგო, მტრების დევნას თავი ანება და დაბრუნდა მამასთან. მის და ყველა ქართველების მწუხარება განუზომელი იყო. ლუარსაბმა ცოტა ხანი იცოცხლა, რადგან ჭრილობა სასიკვდილო გამოდგა. მისი გვამი წამოასვენეს მცხეთას და სვეტიცხოვლის საყდარში დაასაფლავეს 1557 წ.[6]).

დ. კარიჭაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) ზიად-ოღლი ყაჯარის ტომისა იყო.

[2]) სვიმონის მაგიერ მუნჯი ლუარსაბს ასახელებს. იხ. (*Hist. de la Géor. p. 452*).

[3]) *Ibidem.*

[4]) *Ibidem.*

[5]) *Ibidem.*

[6]) ბროსეს მოწმობით ორი დოკუმენტი იპოვება, რომელთაგან ერთი უჩვენებს 1558 წ. სვიმონ მეფობის მეორე ინდიკტიონს, მეორე—9 თიბათვეს 1566 წ. იმავე მეფობის მეცხრე ინდიკტიონს (იხ. *H. de la Geor. t. II, l. I, p.* 350). ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ სვიმონი გამეფებულა 1557 წ. 9 თიბათვის შემდეგ, ხოლო იმავე წელში კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაა შედგენილი, არც მასწავლებლებს მოწმობა მოეთხოვებათ ხოლმე, ამიტომ ამ სასწავლებლების მოწაფეთა და მასწავლებელთ არავითარი შეღავათი არ მიენიჭებათ სამხედრო ბეგრისა. ეს შეღავათი მხოლოდ იმ სკოლების მოწაფეთა და მოსწავლეთ მიენიჭებათ, რომელიც კავკასიის სამოსწავლო ოლქს ექვემდებარებათ.

⁂ პარასკევს, 8 მაისს, „ტფილისის სობრანიის“ საზაფხულო სადგურში გაიმართა ლატარია-ალეგრი ტფილისში მცხოვრებ ღარიბ ლოტრანგთა სასარგებლოდ. ლატარიიდგან 1,000 მანათამდე ფული შეგროვდა.

⁂ კასპის ზღვაში, აფშერონის მახლობლად, ერთი უშველებელი ქვა გამოჩნდა. ზოგი ამბობს, რომ ეს ქვა ციციერია, რომელიც ამ დღეებში ჩამოვარდა ჰაერიდგანაო; ზოგი-კი ამტკიცებს, ზღვიდგან გამოჩნდაო.

⁂ ჩვენ მივიღეთ გ. ოთ—ძის ამილახვრის მიერ შეკრებილი 42 მ. და 52 კ. დ. ზ—ძის ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 2180 მ. 40 კ. ამითი შესდგა 2222 მ. 92 კ. შემომწირველთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

⁂ ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მარტის თთვეში გადამდებ ავდმყოფობისაგან გარდცვლილა ქალაქ ტფილისში: ყვავილისაგან 2 კაცი, ხუნაგისაგან—17, შავის სახადისაგან—1; ტფილისის მიხეილის სამკურნალოში გარდაცვლილა: ყვავილისაგან 1 კაცი, ხუნაგისაგან—8, სახადისაგან—2; ტფილისის მაზრაში გარდაცვლილა: ყვავილისაგან—9, ხუნაგისაგან—8; გორის მაზრაში: შავის სახადისაგან—2, თიონეთის მაზრაში: ყვავილისაგან—8 კაცი. სულ ტფილისის გუბერნიაში მარტის თთვის განმავლობაში გარდაცვლილა: ყვავილისაგან—20, ხუნაგისაგან—33 და სახადისაგან 5 კაცი.

⁂ ოზურგეთი: ამ დღეებში აქ გურიის სამღვდელოთა დეპუტატებს კრება ჰქონდათ, რომელზედაც უნდა გაებჭოთ ის საგანი, თუ როგორ და რა საშუალებით მოახერხონ სასულიერო სასწავლებლისათვის სათანადო შენობის აგება. ეს შენობა, თუ ისე იქნა აგებული, როგორც მთავრობის გეგმაა, ათი ათას მანეთზე მეტი დაჯდება.

ამ საყურადღებო საგნის გადაწყვეტის დროს დეპუტატები სწორედ ორ ცეცხლ შუა იყვნენ ჩავარდნილნი. ერთის მხრით თვალ-წინ ედგათ აუცილებლობა სასწავლებლისათვის შენობის აგებისა და მეორეს მხრით მათ თანამოძმეთა ხელმოკლეობა და სიღარიბე. მაინც ამ დაბრკოლებას არ შეუშინდნენ და ხანგრძლივ თათბირს შემდეგ გადასწყვიტეს, დრამის ფულიდგან ჩვეულებრივზე მეტი ექვს-ექვსი შაური გამოირიცხონ მანეთიდგან, რაიცა ექვსი წლის განმავლობაში იმდენ ფულს შეადგენს, რომ შესაძლო იქნება სასწავლებლის შენობის აგებას ამ ორს წელიწადში შეუდგნენ. ხოლო ვიდრე ეს მოხდება, ხის ეკკლესია უნდა ააგონ დროებით საკუთრად სასწავლებლისთვის. კიდევ ბარაქალა გურიის სამღვდელოებას, რომ ასეთ საქმეში უკან არ იხევს და სასწავლებლისთვის არაფერს იშურებს. შედარებით რომ სთქვას კაცმა, ერთი მუჭა გურიის სამღვდელოებისთვის ასეთ სასწავლებლის შენახვა მძიმე ტვირთია, მაგრამ ბოლო დროს სამღვდელოებამ შეიგნო, რომ უმეცრებაზედ უმძიმესი და უსაშინელესი ახლანდელს დროში არარაფერია და ამიტომ აღარ იტეხს ეხტიბარს. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს შეგნება მოჩვენებული არ ყოფილიყოს, არამედ ძვალსა და რბილში გამჯდარი ჰქონოდეს ჩვენს სამღვდელოებას.

⁂ ყარსი: 10 მაისს სავარჯიშო მატარებელმა მოსწყვიტა მეისრე მელიქ არუთინოვს მარცხენა მკლავი და მარჯვენა ფეხი. დაშავებულს რკინის-გზის მკურნალმა შემწეობა აღმოუჩინა.

⁂ აჯიქაბული: აგერ თთვეა, რაც ურიცხვი მუშა ჰხოცავს კალიას, მაგრამ მტრის დაძლევა, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ შორს არის. 8 მაისს იმოდენა კალია მოედო აქაურობას, რომ სავარჯიშო მატარებელმა მუშაობა ვეღარ შესძლო. ლიანდაგს ჯინჭვლის გორასავით ეხვია ზედ მწერი და საშიში იყო, რომ უბედურობა არა დატრიალებულიყოს მატარებლის ვარჯიშობის დროს.

⁂ გაზეთი „Рус. Жиз.“ იუწყება, რომ რამდენსამე ფულის პატრონს კიდევ უთხოვნია მთავრობისთვის, ნება მოგვეცით, რომ ბაქოდგან ბათუმამდე ნავთის გასაყვანი მილი გავმართოთო.

⁂ 9 მაისს ოლგას ქუჩაზე იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვს ზარათი აღმოაჩნდა, რომელშიაც ეწერა: მოუნათლავია და სახელად ელისაბედი დაარქვითო. ბავშვი საზებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

⁂ 11 მაისს მოღნინის ეკკლესიასთან პოლიციელმა ტაშკევიჩმა იპოვნა ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საზებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

დღეს, 12 მაისს, იწყება წლიური კრება ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის წევრთა. მკითხველთა საყურადღებოდ მოგვყავს ბანკის მმართველობის მოხსენებიდგან რამდენიმე ადგილი ბანკის მოქმედების შესახებ წარსულ 1891 წლის განმავლობაში.

მმართველობა ბანკისა თავისს მოხსენებაში ამბობს, რომ საანგარიშო 1891 წელს მეტად შესანიშნავად შეიცვალა და შეივსო წესდება ბანკისა. ამ ხნის განმავლობაში ფინანსთა მინისტრმა ნება მოგვცა სესხი გავცეთ 5% გირავნობის ფურცლებით, უფლება მოგვეცა ქ. ბათუმშიაც გავცეთ სესხი და ამას გარდა უფლებავე მოვიპოვეთ 5% გირავნობის ფურცლების გამოცემისა ვადის აღუნიშნელადაო.

უფლებამ 5% გირავნობის ფურცლების გამოცემისამ ჩვენს ბანკს შეძლება მისცა სესხი 1% გაეიაფებინა, იმას გარდა, რომ წარსულ საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით სესხი ისეც გაიაფებულ იქმნა. საანგარიშო წლის მეორე ნახევრიდგან ქალაქის მამულების დამგირავებლებს სესხის გატანისათვის ბანკის მმართვა-გამგეობის ხარჯად $1\frac{1}{2}\%$ მაგიერ 1% ერთმეოდათ. ამ გვარად, ბანკმა ქალაქის მამულებზედ სავადო შემოსატანი მსესხებლებს ყოველს ათს თუმანზედ მანეთ ნახევრით შეუმცირა, თუ $29\frac{9}{12}$ წლით არის მამული დაგირავებული, თუ $36\frac{4}{12}$ წლით—ორის მანათით, ხოლო სოფლის მამულებზედ-კი წევრთ-დამფუძნებელთათვის შემოსატანი ყოველს ათს თუმანზედ შემცირდა 2 მ. 25 კაპეიკით, არა დამფუძნებელ წევრთათვის 1 მან. 50 კაპ., თუ მცირე-ვადიანი სესხი აქვს გატანილი, და 1 მან. 75 კაპეიკით, თუ ხანგრძლივ-ვადიანი სესხი აქვს გატანილი.

სესხის ასე გაიაფებამ და იმ უფლებამ, რომ ბანკს ნება მიეცა ბათუმის მამულებზედაც გასცეს სესხი, ის მოიტანა, რომ საანგარიშო წელს სესხს უფრო მეტად თხოულობდნენ, თუმცა 5% გირავნობის ფურცლებით სესხის გაცემის უფლება მხოლოდ საანგარიშო წლის მეორე ნახევარში მოუვიდა ბანკს. ამ გარემოების მიუხედავად, ბანკს 1891 წელს გაუცია ხანგრძლივ-ვადიანი სესხი 1.973,000 მანათისა და ასეთი სესხი მეორე ნახევარს წელიწადს უფრო მეტი გაუცია, ვიდრე პირველს ნახევარს წლისას, სახელდობრ—1.315,200 მან. ეს რიცხვი შარშანდელს, 1890 წელს გაცემულ სესხის საერთო რიცხვს რომ შეუდაროთ, გამოდის, რომ ამ წელს ბანკს 632,000 მან. მეტი სესხი გაუცია. საერთოდ-კი ბანკს 1891 წლის განმავლობაში სესხი გაუცია 2.330,680 მან. ეს გარემოება, სხვათა შორის, რასაკვირველია, სესხის გაიაფებასაც მიეწერება და ამიტომ ამ გარემოებით წაქეზებული მმართველობა ბანკისა თავის მოვალეობადა სთვლის აუწყოს საზოგადო კრებას, რომ აზრად გვაქვს სესხის გაიაფების საქმეში ამითი არ შევსდგეთ და კვლავ გავაიაფოთ სესხი, რამდენადაც შესაძლებელია და რამდენადაც ეს გაიაფება დამოკიდებულია თვით ბანკისაგან. ამიტომ ამ საზოგადო კრების დასრულებისასვე მმართველობა წინადადებას შეიტანს ზედამხედველს კომიტეტში, რომ, წარსულის წლის საზოგადო კრების ნება-დართვისამებრ, ბანკის მმართვა-გამგეობის ხარჯი მსესხებლებს კიდევ $\frac{1}{4}\%$-ით შეუმცირონ ქალაქის მამულებზედ. ბანკის მმართველობას განზრახვა აქვს ეს შემცირება სარგებლისა შემოიღოს, თუ ამა 1892 წლის 1 ივლისისათვის ვერ მოახერხა, ყოველ შემთხვევაში 1893 წლის 1 იანვარზედ არა უგვიანეს მაინც.

1891 წლის განმავლობაში ბანკს მოგება ჰქონია სულ 195,911 მან. 68 კაპ. აქედგან ყოველი სავადო და გაუყიდველ მამულების გადასახდელი გადუხდია 46,405 მან. 12 კ., ბანკის მმართვა-გამგეობაზედ დაჰხარჯვია 43,746 მან. 96 კაპ. და სხ. და წმინდა მოგებად დარჩენია 102,344 მან. 40 კაპ. აქავე საყურადღებოდ მიგვაჩნია დავსძინოთ, რომ ბანკს 1891 წელს უკანასკნელად გადაუხდია ბანკის თეატრის გადაკეთება-შეკეთების ხარჯის დასაფარავად 30,500 მან. ბანკის მოგებიდგან და ამ გვარად სრულიად მოუშორებია თავიდგან თეატრის შეკეთებისა და ელექტრონის სინათლის მოწყობის ხარჯი. ამ სახით, ელექტრონის ყოველივე მოწყობილობა და აგრეთვე ელექტრონის მანქანის შენობა სრული საკუთრებაა ბანკისა, 10,260 მან. 94 კაპ. ღირებული. ბანკს შეეძლო ესეც წმინდა მოგებად ჩაერიცხა, მაგრამ ბანკი, პირიქით, იმ აზრისაა, რომ თუმცა მოვრჩით ყოველ წლიურს გარდასახადს და შევისრულეთ ქარვასლის შეკეთების ხარჯი, მაინც ამიერიდგან ყოველ წლივ კიდევ გადავდოთ ხოლმე მოგებიდგან 30,000 მან. იმ თავნის ვალის გადასახდელადაო, რომელიც ბანკის სადგომსა და ქარვასლას ამ ჟამად ადევს ღ რომელიც სულ 360,229 მან. 03 კაპ. შეადგენს.

დასასრულ, მმართველობის მოხსენება აღნიშნავს, რომ ბანკის დაარსებიდგან ამა 1892 წლის პირველ იანვრამდე ძირის თანხამ ბანკისამ, რომელიც 240,000 მან. შეადგენდა, 367,210 მან. 29 კაპეიკამდე იმატა. შესდგა სათარიგო თანხა 124,723 მან. 69 კაპ., გვაქვსო საზოგადო საჭიროების თანხა 12,840 მან. 52 კაპ., საყოველ-შემთხვევო თანხა 5,958 მან. 91 კაპ. და ამას გარდა ბანკს ამ თავითვე ვადამდე გადუხდია გირავნობის ფურცლები 51,400 მან. საერთოდ-კი ბანკის ქონებას დაარსებიდგან 322,134 მ. 08 კაპ. უმატნია, ასე რომ ამ ჟამად ბანკის თანხა უდრის 562,134 მ. 08 კ. ამ თანხის მატების გარდა, ამავე დროს განმავლობაში ბანკის მოგებიდგან სათავად-აზნაურო სკოლის შენახვისა და სხვა სამადლო საქმეთათვის დახარჯულა 305,520 მან. 49 კაპ. და ბანკის ქარვასლის თავნი ვალი მოგებიდგანვე გადაუწყვეტიათ 99,770 მან. 97 კ. ამ გვარად, ბანკს სულ დაარსებიდგან მოგება ჰქონია 727,425 მან. 54 კაპ.

ბანკის მმართველობის წლიური ანგარიში ზედამხედველს კომიტეტს შეუცვლელად დაუმტკიცებია და საზოგადო კრებას მოხსენდება განსახილველადა და დასამტკიცებლად.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, რომ სომეხთა ეკკლესიის კათალიკოსის კანდიდატად ერთხმად არჩეულ იქმნა მთავარ-ეპისკოპოსი ხრიმიანი. ვიდრე სომეხთა დელეგატები ერთად შეიყრებოდნენ ეჩმიაძინში, მანამდე დას-დასად იყვნენ დაყოფილნი და ყველას თავისი კანდიდატი ჰყავდა საკათალიკოსოდ, მაგრამ, როცა პირისპირ შეჰხვდნენ ერთმანეთს, მაშინ-კი მშვიდობიანის მოლაპარაკებით შეთანხმდნენ და საერთო საკათალიკოსო კანდიდატად მთავარ-ეპისკოპოსი ხრიმიანი აირჩიეს, ასე რომ თვით არჩევანების დროს დელეგატებს მხოლოდ ხელის მოწერა-ღა დასჭირდათ ოქმზე. როცა სპარსეთ-ინდოეთის დელეგატმა ამბარცუმ არაქელიანმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა, ყველამ თავისი თანხმობა მაშინვე განაცხადა. აი თვით ის სიტყვა:

უფლეად უსამღვდელოესო თავმჯდომარევ პატრიარქის საყდრის საარჩევანო კრებისავ, ყოვლად უსამღვდელოესნო მამანო და პატივცემულნო ამხანაგნო!

კანონი და განსაკუთრებით მე-16-ტე მუხლი ამ კანონისა ნებას აძლევს თითოეულს წევრს ამ კრებისას, წარმოსთქვას გულწრფელობითა და სინიდისის მიხედვით თავისი აზრი იმ ოთხის კანდიდატის შესახებ, რომელნიც ღირს არიან აღსვლად წმ. გრიგოლ განმანათლებლის ტახტსა, და მეც სპარსეთისა და ინდოეთის სომეხთა ერის სახელით ვასახელებ ღირსასარჩევებად: მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას მთავარ-ეპისკოპოსს მკრტიჩ ხრიმიანს, ჭაირიქად (მამად) წოდებულსა, მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ეპისკოპოსს მათეოს იზმირლიანს, მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ეპისკოპოსს ხორენ მხითარიანცს და მისს უსამღვდელოესობას ეპისკოპოსს იერემია ტერ-სააკიანცს, მოადგილეს იერუსალიმის პატრიარქისას. მთელს სომეხთა ერს პატრიარქად ხრიმიანი ჰსურს, რადგან წმ. განმანათლებლისა, ნერსესისა, საჰაკისა და მესროპის ტახტისათვის იმ გვარის ღირსებით შემკული კაცია საჭირო, რა ღირსებათა გამოც ჩვენმა წმ. სამოციქულო ეკკლესიამ შერაცხა იგი ღირსნი პატრიარქნი წმიდათა და უანგარო საეროვნო მოღვაწეთა შორის.

ხრიმიანი მამაა ერისა, ჭეშმარიტი მოწაფეა სახარებისა და წმიდათა მოციქულთა, ძლიერი მწყემსია, რომელმაც თავი თვისი დასდო სამსახურად თავისის სამწყსოს კეთილდღეობისა და ცხოვრებისათვის. იგი სასულიეროთ დადგინებული არ არის, სიმონიის წარმომადგენელი არ არის და ვერცხლის-მოყვარეობით არ შესცვლის კანონებს ჩვენის სამშობლო წმ. ეკკლესიისას.

მისთვის განურჩეველია უპირატესობა მინიჭებული, მდიდარი, ბატონი, მოქალაქე, გლეხი, ნასწავლი და უსწავლელი; მის დიდის სულისა, მის გონებისა და გულისათვის არსებობს მხოლოდ სომეხთა ერი, რომლის გონებრივი და სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანიც იმან უნდა დააკმაყოფილოს სრულიად.

ტახტი წმინდა განმანათლებლისა, ნერსესისა, საჰაკისა ამაღლდება თავის მოწოდებად, როდესაც იმ ტახტზედ ავა ხრიმიანი ჭაირიქი. მისი უანგარო, მიუსყიდველი, წმინდა გული გაანათლებს ეჩმიაძინის მონასტერს და სომეხთა ერს. მისი ზნეობრივი ძალა ღონეს მოგვცემს, რომ ერთგულნი შვილნი ვიყვნეთ სამშობლო ეკკლესიისა, პატიოსანნი და ერთგულნივე მოქალაქენი და არა გარდამავალნი ერთის ცხოვართა ეზოდგან მეორეს. მისი წარსული მოღვაწეობა, სხვა-და-სხვა თანამდებობა, რომელსაც იგი ასრულებდა და ის გარემოება, რომ იგი უპირველეს ყოვლისა ჭეშმარიტი სულიერი, მორწმუნე, ზნე-მაღალი და კანონის დამცველი კაცია,—მარწმუნებს, რომ დღესა მის პატრიარქობისასა სომეხთა ერი ზნეობრივ განათლდება. იგი შეიძლებს დააყენოს ყველა კანონიერს გზაზედ და მისცეს ღვთისა ღმერთს და კეისრისა კეისარს.

შემდეგ ამბარცუმ არაქელიანმა დაასახელა უკვე აღნიშნული სამი სხვა კანდიდატიც და ასე დაასრულა თავისი სიტყვა:

ყოვლად უსამღვდელოესო მამანო, ბატონებო, ამ წმიდა ტაძარში ამ ჟა-

მაღ ერის კრებაა, რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ექმნება: მთელის სომხეთა ერის ყურადღება დღეს აქეთკენ არის მოქცეული, ამ წმინდა ტახტისაკენ, რომელზედაც გარდმოხდა ზეცით მხოლოდშობილი ძე ღვთისა.

დასასრულ სინოდის პროკურორის ყანჩელის მიერ ოქმი იქმნა დაწერილი და ყველამ ხელი მოაწერა.

## დეპეშა

8 მაისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა აზრი სახელმწიფო საბჭოსი იმის შესახებ, რომ მოისპოს სავალდებულო ურთიერთობა ყალმუხთა ერის სხვა-და-სხვა წოდებათა შორის, და უმაღლესი ბრძანება—რომ დაწესებულ იქმნას თანამდებობა ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწისა.

„С.-Петер. Вѣд.“-ი იუწყება, სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა ახალ წესთა პროექტი შესახებ სავაჭრო, სამრეწველო, სააქციონერო და სხვა საზოგადოებათა დაარსებისა. შეცვლილ იქმნება აწინდელი წესი ახალ სამრეწველო საზოგადოებათა დაარსებისა, რომელიც ბევრს ხანსა და ხარჯსა თხოულობს.

**პარიჟი.** მთავრობამ წარადგინა პალატაში პროექტი, რომლის ძალითაც შეცვლილ უნდა იქმნას კანონი მწერლობის შესახებ. ამ პროექტის აზრით, დასჯილ უნდა იქმნას კაცი ქურდობაზე წაქეზებისათვის და მეტი სასჯელი უნდა მიეცეთ იმათ, ვინც ჯარს ურჩობას ჩააგონებს. იგივე პროექტი ნებას აძლევს საქმის გარჩევამდე გაზეთების მოსპობისას და ჟურნალისტების დაპატიმრებისას.

საქალაქო სამკურნალოთა და დამშეულ რუსთა სასარგებლოდ გამართულ დღესასწაულისა „Opera“-ში 80,000 ფრანკი შემოსავალი იყო. დღესასწაულს დაესწრო პრეზიდენტი კარნო, რომელსაც მიეგება ბარონი მორენჰეიმი. „Жизнь за Царя“ საზოგადოებამ დიდის ალტაცებით მოისმინა.

**კონსტანტინოპოლი.** ბ-ნი ნელიდოკი ოთხის თვით დაეთხოვა სამსახურს და წავიდა.

10 მაისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და დიდნი მთავარინანი ქსენია და ოლღა ალექსანდრეს ასულნი 9 მაისს, ნაშუადღევს 4 საათზე გემით, „Полярная Звѣзда-თი წაბრძანდნენ დანიაში.

„Новое Время“-ს გაუგონია, თავად-აზნაურთა მიწად-მფლობელობის თაობაზედ დაარსებულმა კომისიამ შესწყვიტა შემოდგომამდე თავისი მუშაობა. იმ დროსთვისვე გადადებულ იქმნა განხილვა მამულების გაუნაწილებლობის საქმისაც.

**ალექსანდრია.** ბამბის საწყობები დაიწვა; ზარალი სამი მილიონი მანათია.

**პარიჟი.** მთავრობა ამზადებს პროექტს სათადარიგო ჯარის სამსახურის ვადის გადიდებისას 7-დგან 10 წლამდე. აზრად ამ პროექტს ისა აქვს, რომ შედგენილობა ნარევის ჯარისა ერთგვარი იყოს. ამას გარდა, მზადდება პროექტი, რომლის ძალითაც, ყოველ წლივ 200 აფიცერს ხმელეთისა და ზღვის ჯარისას ნება ექნება ისამსახურს თავი დაანებონ და პენსიაც მიიღონ 25 წლის ნამსახურობის კვალობაზედ 30 წლის მაგიერ.

**ნიუ-იორკი.** მდინარე მისისიპის წყალ-დიდობამ ქალაქსა, სენ-ლუის საგრაფოს და აგრეთვე მახლობელს საგრაფოებს 11 მილიონი დოლლარი ზარალი მისცა. 1,500 ინგლისური ოთხ-კუთხი მილი, განსაკუთრებით პურით დათესილი, ეხლა წყალს უჭირავს.

პეტერბურგის ბირჟა, 8 მაისი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,65 | 7,60 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $152^{1}/_{4}$ | $153^{1}/_{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $239^{1}/_{2}$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $219^{1}/_{4}$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 195 | $195^{1}/_{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | 101 | — ,, | $98^{1}/_{4}$ |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 101 | $99^{1}/_{2}$ | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | $98^{1}/_{2}$ |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | „ კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | | „ „ „ |
| „ „ 2 | | |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | | „ „ „ |
| „ „ „ 2 | | „ „ „ |
| „ „ „ 3 | | „ „ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ „ | | . |
| მე-3 „ „ „ „ | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 | „ |
| „ „ 2 „ | | „ |
| სუკი — — — | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 9 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | 6 | „ |



# განცხადებანი

გამოვიდა ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში:

**ძთაბაგნი**

ბექა და აღბუღა

და

მათი სამართალი,

ნ. ურბნელისა.

ფასი ათი შაური (50 კაპ.)

(6—4)



ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 12 და 13 ივნისს ამა 1892 წლისას, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავნი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გადასახდელების შემოუტანლობისათვის, მე-13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საეროპო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი ბანკის გრძელ-ვადიანთა სესხთამებრ შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთზედ მანათად და აგრეთვე, ბანკის თანხმობით, ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი. სავალდო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნეს შემოტანილი.

ვინიცობაა ამა წლის 12—13 ივნისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21 §-ის საფუძვლისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქნება 27 ივნისს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ის თანახმად, მსესხებელს ნება ეძლევა სავალდო შემოსატანი, სარგებლით ვადაზედ შემოუტანლობისათვის და აგრეთვე მამულის სავაჭროდ დანიშვნის ყოველ სხვა ხარჯითურთ ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულების ვაჭრობა იქნება 12 ივნისს, სოფლის მამულებისა 13 ივნისს. *)

**ძველის კატეგორიისა: ა) ქალაქის მამულები.**

ხერხეულიძე, ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე. ერთი-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, ფლიგელით და სამოსამსახუროთი, მიწისა და ეზოს ზომა $324^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ., მე-11 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფ. ელისაბედის ქუჩაზედ და უსახელოზედ. თავნი ვალი 3,743 მ. 43 კ., შემ. გარ. 176 მ. 11 კ., სულ 3,919 მ. 54 კ.

ოქუაშვილი, გრიგოლ იაგორის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანის სართულით, ეზოთი და მიწით, ზომით 76 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ტფ. მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ოქრომჭედლების ქუჩაზედ. თავნი ვალი 3,402 მ. 15 კ., შემ. გარ. 364 მ. 63 კ., სულ 3,766 მ. 78 კ.

დავიდოვი, ლაზარე ლაზარეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი, სხვა შენობით, ეზოთი და მიწით, ზომით 166 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფ. მე-2 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ხევის ქუჩაზე. თავნი ვალი 3402 მ. 12 კ., შემ. გარ. 305 მ. 18 კ., სულ 3,707 მ. 30 კ.

მებურნუთოვი, დავით პავლეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით 518 ოთხ-კუთხი საჟ. მე-10 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფ. ბაგრატიონის ქუჩაზედ. თავნი ვალი 3,169 მ. 36 კ., შემ. გარ. 278 მ. 68 კ., სულ 3448 მ. 4 კ.

ბეთანოვი, სტეფანე ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარის მოწყობილებით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 საჟ. და სიგანით 13 საჟ. ქ. ახალციხეში. თავნი ვალი 2,465 მ. 8 კ., შემ. გარ. 195 მ. 33 კ., სულ 2,660 მ. 41 კ.

თამამშოვი, ალექსანდრე სოლომონის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამის წყაროთი, ყოვლის კუთვნილებით, ბაღით და რიგის წყლით, მიწა ზომით 3 დეს. და 350 ოთხ-კუთხი საჟ. მე-9 ნაწილში, 2 გან. ყოფილებაში. კრწანისში თავნი ვალი 1,874 მ. 84 კ., შემ. გარ. 153 მ. 73 კ., სულ 2,028 მ. 57 კ.

ტერ-შმავანოვი ნიკოლოოზ ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელით და ყველა მოწყობილობით, მიწა ზომით 86 ოთხ-კუთხი საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება. მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფ. მოლნინისა და ბებუთოვის ქუჩაზე № 21. თავნი ვალი 6102 მ. 16 კ., შემ. გარ. 412 მ. 48 კ., სულ 6514 მ. 64 კ.

რუსიევ-ყორჩიბაშევი, გიორგი გიორგის ძე: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით სიგრძით 50 საჟ. და სიგანით 25 საჟ. ქ. თელავში. თავნი ვალი 508 მ. 56 კ., შემ. გარ. 73 მ. 56 კ., სულ 582 მ. 12 კ.

ჩოლოყაევი, ნიკოლოოზ ზაალის ძე და ჯანდიერი, ლევან გიორგის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და მიწით, ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თელავში. თავნი ვალი 871 მ. 89 კ., შემოს. გარდ. 95 მ. 26 კ., სულ 967 მ. 15 კაპ.

**ბ) სოფლის მამულები**

ხიმშიევები: ნინო, მარიამ გიორგის ძე და ასული და ეკატერინე ბეჟანის ასული: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 653 დეს. და 1820 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. ანთნის-ხევში. თავნი ვალი 3,965 მ. 14 კ., შემ. გარ. 185 მ. 89 კ., სულ 4,151 მ. 3 კ.

ბარათოვი, გიორგი ვახტანგის ძე: სახნავი და საბოსტნე ადგილები, ზომით 177 დეს. და 1560 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ზემო-ოძისში. თავნი ვალი 3,964 მ. 59 კ., შემ. გარ. 209 მ. 84 კ., სულ 4174 მ. 43 კ.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე: სახნავი, საძოვარი ადგილები, ტყე და შენობები, მიწა ზომით 284 დეს. 1263 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, თელავის მაზრაში, აგარაკ ქისტაურში. თავნი ვალი 8,984 მ. 10 კ., შემ. გარ. 364 მ. 78 კ., სულ. 9,348 მ. 88 კ.

ქანანოვი, გიორგი ზურაბის ძე: სახნავი და სამოსახლო ადგილები, შენობებით და ვენახით, მიწა ზომით 151 დეს. და 300 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ ბრეთში. თავნი ვალი 7982 მ. 57 კ., შემ. გარ. 364 მ. 78 კ., სულ 8347 მ. 35 კ.

კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დეს. და 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში. თავნი ვალი 2,677 მ. 98 კ., შემ. გარ. 159 მ. 71 კ., სულ 2837 მ. 69 კ.

ამილახვრები, ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან ქრისტეფორეს ასული და თაზიევისა, მარიამ ალექსანდრეს ასული: სახნავი და სასახლკარო მიწები, ზომით 33 დეს. და 320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. გრაკალში. თავნი ვალი 1,347 მ. 33 კ., შემ. გარ. 129 მ. 58 კ., სულ 1,476 მ. 91 კ.

ქობულოვები: იოსებ, სოლომონ და ზაქარია ადამის ძენი: სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე, ზომით 823 დეს. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფელ კონდოლში. თავნი ვალი 8,982 მ. 27 კ., შემ. გარ. 370 მ. 27 კ., სულ 9352 მ. 54 კ.

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დეს. და 876 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, ტფ. და გორის მაზრაში, სოფ. ახალქალაქს, მუხაურს და სათარხნოში. თავნი ვალი 6,286 მ. 96 კ., შემ. გარ. 274 მ. 75 კ., სულ 6561 მ. 71 კ.

*) ამ ნომრის მე-9 გვერდზედ, სათავად-აზნაურო ბანკის განცხადებათა მე-3 სვეტზედ, ზემოდგან მესამე გვარში (მამული მარ. მაღალოვისა) შეცდომით საერთო ვალის რიცხვად აღნიშნულაა 1289 მან. 15 კაპ., უნდა იყოს 12089 მ. 15 კაპ.